ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**g-95. 95232862**

თარიღი:**13/10/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-ს დაფუძნებაზე ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 21-ე მუხლის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 106^1 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს (როლანდი ბერიძეს) მიეცეს თანხმობა დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“.
2. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-ს დაფუძნებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.
4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი